# სახალხო გაზეთი

№ 970 შაბათი, 17 აგვისტო 1913 წ. № 970

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი იქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

უფასოდ ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

## განათლების საზოგადოების ქალთა სასწავლებელში

როგორც მოსამზადებელ განყოფილებებში, ისე პროგიმნაზიულ კლასებში ვაკანსიებით გამოცდა და მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან. სწავლა—2 სექტემბრიდან.

აგრეთვე 1-ლ სექტემბრიდან განათლების საზოგადოებამ სხნის **სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელს**, რომელშიაც მიიღებენ ქალაქის ორ-სამ კლასს დამთავრებულ ყმაწვილებს. წლიური ფასი 30 მან. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება თვით სასწავლებელში (საკუთარი სახლი, სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6) დილის 9 საათიდან პირველ საათამდე. 557



## პირველ-ხარისხოვანი დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 17 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება**

**სატახტო ქალაქების მიხედვით**

**წარმოდგენა**, რომელსაც ეწოდება „შაბათობა“.

დღეს, როგორც ყოველთვის, შაბათობით წარმოდგენის პროგრამა შესდგება პირველ-ხარისხოვან ატრაქციონო ნომრებისაგან. დღეს 4 **ეშმაკი** ცირკის გუმბათის ქვეშ შეასრულებენ ისეთ ოინებს, რომელნიც ჯერ არ უჩვენებიათ. გამოჩენილი მოჯირითე ქალის **ქ. თამარა** გააცვიფრებს ხალხს თავბრუდამხვევ ოინებით. გამოჩენილი ოჯახი **ჯამბაზ იტალიელებისა დელა კაზო**, ზემსროლელ ფიცრით, აჩვენებენ გასაოცარ ოინებს. დღესვე მონაწილეობას მიიღებენ: შეუდარებელი **ოხუნჯი ბ. რობერტსი** ჭკვიანი ვირ თ „იაშკაო“ და მათემატიკოს ძაღლით „ტირასით“, ცნობილი ექსცენტრიკები **ბ-ნი ბროკარსები**. ხალხის საყვარელი მასხარები და ხუმრები **ძმ. ვინჩეცოები**.

**ანონსი**: ხვალ, კვირას 18 აგვისტოს, 2 დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა. დღისით ხელმისაწვდენ ფასებით იქნება წარმოდგენა.

**დასაწყისი საღამოს 8 ნახევ საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 556. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში

**კვირას, 18 აგვისტოს, დილის 10 ს, მთავრობის ნებართვით,** შესდგება

# ტფ. სტამბის მომუშავეთა, ლიტოგრაფიისა და წიგნის მკაზმავთა საზოგადო კრება.

კრება შეიმუშავებს **ახალ წესდებას** და ამოირჩევს დამფუძნებელ კომისიას ბეჭდვითი საქმის **პროფესიონალური კავშირის** დასაარსებლად. ამხანაგები მოუწოდებენ ხამივე დარგის მომუშავეებს დაუყოვნებლივ დაესწრონ კრებას.

## ახალი წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა**

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

# უდიდესი წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიის შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

## ახალი კლუბი

**(საზაფხულო სადგომი)**

**დღეს, 17 აგვისტოს, დანიშნულია**

## ბენეფისი

ორკესტრის კონცერმეისტერისა, სოლისტი-სკრიპაჩი

# ბ. ი. კრეინინისა

**სიმებიანი ორკესტრის** მონაწილეობით, **ბ. ვ. გ. ზელიონის** ხელმძღვანელ. დაწვრილებით პროგრამაში. ბილეთების ფასი 1 მ 50 კ. და 30 კაპ. სტუმრები იხდიან შესასვლელს ჩვეულებრივს.

**ანონსი:** სამშაბათს, 20 აგვისტოს, **ბენეფისი ვ. გ. ზელიონისა.** 1431

## ახალ კლუბთან არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირექტორ

**ს. ი. პრისმანთან.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

## ტფილისის ქართული სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორი

აცხადებს, რომ ვაკანსიები არის **მხოლოდ პირველს მოსამზადებელს განყოფილებაში და IV, V და VI კლასებში.** მისაღები ეგზამენები მხოლოდ ზემოდ აღნიშნულს კლასებში შემომსვლელთათვის და გადასასვლელი გიმნაზიის მოწაფეთათვის **დაიწყება:**

20 აგვისტოს V, VI და VIII კლასებში,
21 „ IV „
23 „ III „
24 „ I—II „
28 „ მოსამზადებელს განყოფილებაში.

პირველ მოსამზადებელს განყოფილებაში შემომსვლელთათვის ეგზამენები დაიწყება 28 აგვისტოს.

**ის მოწაფენი, რომელთაც წარსული სასწავლო წლის ფასი გადახდილი არა აქვთ, გიმნაზიიდან დათხოვნილი იქნებიან, თუ პირველ სექტემბრამდე არ შემოიტანენ სწავლის ფასს** 1435

**„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო, ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ სამშაბათს, 20 ამა აგვისტოს დანიშნულია**

# წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია მიმდინარე საქმეები კლუბისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. 1431

## სათავად-აზ. ქალთა სკოლის სამზრუნველო საბჭო

აცხადებს, რომ I, II და III განყოფილებებში და I, II III კლასში მისაღები გამოცდება დაიწყება **26 აგვისტოს.**

## ვაკანსიები ყველა კლასებშია

1435

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**შემდეგი წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| აკაკის საიუბილეო კრებული | 25 კ. | მთიულეთი, ა. ყაზბეგი, | 40 „ |
| ასული ისრაელისა ა. ფურც. | 30 „ | დილარიანი, ლარიძისა, | 2 მ |
| ბრძოლა ანუ გ. სააკაძე და მისი დრო | 1 მ. | მაცი ხვიტია, ა. ფურც. | 50 „ |
| დუტუ მეგრელი ტ. 1, | 70 „ | მოლიპულ გზაზე, | 1 მ. 50 „ |
| „ „ ტ. 2-ე, | 70 „ | მთიული სოსე | 10 „ |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძ | 5 „ | მეფე ერეკლე და ინგილო ქალი, | 5 „ |
| ვისი ბრალია? დ. ერისთ. | 20 „ | Методическое руководство къ препод. русск. языка. | 40 „ |
| ვარინკას ამბავი, | 15 „ | რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ი. გოგებ. | 1 მ. |
| ბურჯი ეროვნებისა, ი. გოგებაშვ. | 20 „ | რანი ვიყავით გუშინ, მისივე | 20 „ |
| თავადი იერონიმე, მგალ. | 10 „ | საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | 10 „ |
| თხზულებანი ხუსკივაძისა, | 30 „ | ქიტესა, ა. ფურც. | 15 „ |
| თავდადებულნი ქართველნი | 7 „ | ქართ. მეფე გლეხის ქოხში, ი. გოგ. | 5 „ |
| ია ეკალაძე. მოთხრობები | 1 მ. | ჩემი თავგადასავალი, აკაკი, | 1 მ |
| ივანნამ რა ჰქმნა? ი. გოგებ. | 5 „ | ჩვენებური საქმის ბოლო, ა ფურც. | 20 „ |
| კახეთის ამბოხება, ა ყაზბეგი | 60 „ | ცხოვრება და სიყვარული, | 40 „ |
| ლევან ბატონიშვილი, ხუსკ. | 10 „ | წვრილი მოთხრობები სვ ყიფ | 50 „ |
| მეჯღანუაშვილი, არდაზ. | 50 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორ**განოთა, **ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში**

**ახალი სალიტერატურო— სამეცნიერო—კრებული**

# ვეფხვინი

ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლდას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან- ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარ- და. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით** 1035

**ექიმი ა. შ. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო მიხ. ბედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლდასოვის ქ. № 20. წ. 1023

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ხამსახური კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

## ხარაჩოში

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

იმ ცირკულიარის გამო, რომელიც მინისტრმა კასსომ გამოსცა არა-რუსთა სახალხო სკოლების შესახებ, გაზეთ „რუსსკაია მოლვა“-ში ბ-ნი მალინოვსკი სწერს:

„შეიძლება სავსებით იმ აზრისა იყო, რომ არა-რუსთათვის საჭიროა სახელმწიფო ენის შესწავლა, მაგრამ არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ თვით რუსული ენის პროდუქტიალურად შესასწავლად საჭიროა რუსული ენის შესწავლა შეთანხმებული იყოს ბავშვთა ფსიხიკასთან. სახალხო სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლების საჭიროებას აღიარებდნენ ისეთი პირებიც კი, რომელთაც ვერას გზით ვერ დავწამებთ სეპარატიულ მისწრაფებებს. მაგალითად ორენბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბობროვნიკოვი ერთს თავის მოხსენებაში სწერს: „განა შეიძლება პედაგოგი დაერქვას იმ მასწავლებელს, რომელიც სკოლიდანა სდევნის სამშობლო ენას“?..

ავტორი ასახელებს გამოჩენილ რუს პედაგოგებს და დასძენს, ყველა ესენი სამშობლო ენის მომხრენი იყვნენო.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **შიოევისეულ სახლის** საქმის გამო, როგორც ვწერდით, 14 აგვისტოს მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ მატილოვს ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და „კრუჟოკ“-ის დეპუტაცია წარუდგნენ. სთხოვეს, არ დაენგრევინებინა შიოევისეული სახლი და დაემტკიცებინა შენობის გადაკეთების პროექტი. გენერალმა დაუყოვნებლივ დაიბარა მეფის მოადგილის სამმართველოს სატეხნიკო თათბირის წევრნი, რომელთაც საგანგებო კრება გამართეს. კრების შემდეგ გენერალმა ნ. პ. შატილოვმა საჭიროდ დაინახა საგანგებო კომისიის არჩევა, რომელსაც დაევალა, ორის დღის განმავლობაში დაწვრილებით განიხილოს პროექტი, შენობა ადგილობრივ დაათვალიეროს და თავისი აზრი წარუდგინოს. კომისიის წევრებად დანიშნა: მეფის მოადგილის სამმართველოს მხრით-ბუინოვი, კომნოვიცკი და ბორისოგლებსკი, საგუბერნიო სამართველოს მხრით—კერერი, ბარტი და დიცმანი, ხოლო ქალაქის მხრით—ზურაბიანი, ტეროგანოვი და სიმონოვსკი. გუშინ კომისიამ შიოევისეული სახლი დაწვრილებით დაათვალიერა.

✦ **ქალაქის მოურავი ა. ხატისოვი** გუშინ მანგლისს გაემგზავრა.

✦ **ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოსთვის** გამოწერილი ინვენტარი ქალაქის გამგეობამ უკვე მიიღო. საავადმყოფო სექტემბერში დაიწყებს მოქმედებას.

✦ **სამშობიარო თავშესაფარის** შენობას ქალაქის გამგეობა 1914 წლ. 1 იანვრისთვის დაასრულებს.

✦ **ქუნთრუშა.** ამ ჟამად ტფილისში ქუნთრუშა მძვინვარებს.

✦ **სიონობა.** 15 აგვისტოს სიონის საკათედრო ტაძარმა თავისი დღესასწაული გადაიხადა. დღეობას დიდძალი ხალხი დაესწრო. იყვნენ ღამისთეველნიც. მწირველი იყო ერევნის ეპისკოპოსი პიმენი. წირვა რუსულად იყო.

✦ **საბირჟო ცნობები.** 16 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 80 კ., აძლევდნენ—84 მან. 15 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 80 კ. აძლევდნენ—82 მან. 60 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—79 მან. 40 კ., აძლევდნენ—78 მან. 35 კაპ. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—485 მ., მეორისა—360 მან., და მესამისა—316 მან.

✦ **„მოსავალი.“** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავლის“ მე-11 და 12 ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია წერილები: ვ. რცხილაძისა, ვ. გულბაათიშვილისა, ა. კახელაძისა და სხვებისა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 15 აგვისტოს მოხდა. საბჭომ მოის-

მინა ვრცელი მოხსენება საგანგებო კომისიისა (ვ. ი. რცხილაძე და პ. გ. მელია). რომელმაც ამას წინად ქართლის რაიონის აგრონომის ე. კარბელაშვილის ნამუშავარი დაათვალიერა. მოხსენების მოსმენის შემდეგ საბჭოს მრავალი პრაქტიკული საკითხი აღეძრა, რომლის გადაწყვეტაც სექტემბრის პირველ რიცხვებისთვის გადაიდო. ამის შემდეგ საბჭომ მოისმინა საგანგებო კომიტეტის მოხსენება საგარეჯოში განზრახულ თათბირის შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მეურნენი დიდად დაინტერესებულნი არიან თათბირით, განსაკუთრებით მანქანა-იარაღებით. თათბირში მონაწილეობის სურვილი განუცხადებიათ როგორც ივრის ხეობის მეურნეებს, ისე სხვებსაც, დაუმზადებიათ მოხსენებანიც.

✦ **მეურნეთა თათბირი საგარეჯოში** 29 აგვისტოს დაიწყება და 31 აგვისტოს დასრულდება. თათბირი, რომელსაც ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება იწვევს, შემდეგის პროგრამით მოხდება: 1) გარედ-კახეთში არსებული სასოფლო-სამეურნეო დარგები და მათი ეკონომიური მნიშვნელობა ადგილობრივ ჰავა-ნიადაგის და ტფილისის ბაზართან სიახლოვის მიხედვით. 2) სასმელი და სარწყავი წყლები; ამ წყლების გამოსაყვანი ღონისძიებანი. 3) საკვები ბალახების თესვა მესაქონლეობის ხელის შესაწყობად და ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად. 4) მესაქონლეობა და მერძეობა. 5) ტყეებისა და საძოვრების გამოყენება. 6) სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების და სხვა დაწესებულებების დაარსება. 7) სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოცდა.

✦ **სამელიორაციო კრების** მომწვევ კომიტეტის პირველი კრება 14 აგვისტოს მოხდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მეფის მოადგილის თანაშემწის სენატორ ე. ი. ვატაცის თავმჯდომარეობით, რომელმაც აცნობა კრებას შემდეგი: მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალს ნ. პ. შატილოვს, საწინააღმდეგო არა აქვს რა იმისა, რომ 1914 წელს ტფილისში მოწვეულ იქმნას ამიერ - კავკასიის სამელიორაციო კრება, რაც შეეხება მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მომწყობის მთავარ სამმართველოს, რომლის წინაშეც შუამდგომლობაა აღძრული კრების მოწვევის ნების დართვის შესახებ, მისი პასუხი ამ დღეებში მოვა. ამის შემდეგ აირჩიეს კომიტეტის დამატებითი წევრები. მოხვდნენ: ტფილისის გუბერნიიდან—ერთი წევრი, ქუთაისის გუბერნიიდან—სამი (მათ შორის ორი თავად-აზნაურობის მხრით), ბაქოს გუბერნიიდან—ორი, ერევნის გუბერნიიდან—ოთხი, და დაღესტნის ოლქიდან—ერთი. ამის შემდეგ არჩეულ იქმნენ კომიტეტის ბიუროს წევრები: მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი (ბიუროს თავმჯდომარე), უგანათლებულესი თ-დი პ. ა. გრუზინსკი, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აფხაზი, დ. ვ. ბეზობრაზოვი, ნ. ა. პეტროვი, ვ. ა. სოკოლოვი, ნ. ბ. როუნოვი, გ. ვ. ზერცალოვი, ვ. ნ. კრონნინგი, ს. ნ. ყაზახიშვილი, ა. მ. ფონ-ესსენი, გ. ზ. ქურდიანი, ს. ფ. ზავალიშინი, პ. პ. მედვედიევი, დ. ვ. ივანოვი, ვ. ი. სოკოლოვი. დასასრულ კომიტეტმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ კრების მოსაწვევად ნივთიერი დახმარება ეთხოვოს მთავრობასა და საზოგადო დაწესებულებებს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდო იმ დროსთვის, როდესაც მიწად-მოქმედებისა და მიწად-მომწყობის დეპარტამენტი კრების მოწვევის ნებას დართავს.

## ქუთაისი

✦ იმ დეპუტატთაგან, რომელიც ზუგდიდელებმა ოლდენბურგის პრინცთან გაგზავნეს რკინის გზის თაობაზე შუამდგომლობისათვის, დეპეშა მოსულა პეტერბურგიდან, რომ შავი-ზღვის ნაპირა რკინის გზის მიმართულების თაობაზე ბჭობა ამ გზის გამგეობას პეტერბურგში ოქტომბერში ექნებაო. ჰამბურგს წასვლა საჭიროთ აღარ ვსცანით, რადგან პრინცი ოლდენბურგისა მალე ჩამოვა გაგრასო.

✦ **ნიკო ნიკოლაძეს საქმე.** ნიკო ნიკოლაძის საქმის გამოძიებას ქუთაისის საოლქო სასამართლოს საგანგებო მინდობილებათა გამომძიებელი ბ-ნი კარსკი განაგრძობს. ამ ჟამად ნიკოლაძის საქმეზე შეგროვილი საგამომძიებლო მასალა შეიცავს ცხრა ტომს—დახლოვებით 3600 ფურცელ კაპიკიან ქაღალს.

✦ **მატარებლების დამსხვრევა.** 13 აგვისტოს შუადღის 2 ს. 15 წამს ტყიბულის გზიდან გამოიქცა მიწით დატვირთული 12 ვაგონი, სადგურის მახლობლად, ლიანდაგის ისართან, ისინი დაეჯახნენ ორთქლმავალს. რვა ვაგონი სრულებით დაიმსხვრა. ვაგონის ნამტვრევები და მიწა ერთმანეთში აირია. გზა გაფუჭდა რამდენიმე საჟენზე. მატარებლის მიმოსვლა რამდენიმე საათით შეჩერდა. ადამიანების მსხვერპლი არ ყოფილა.

კატასტროფის მიზეზი შემდეგია: მიწის დასატვირთავ კარიერში იდგა 12 ვაგონი. მუშა მატარებლის გამგე და კონდუქტორების ბრიგადის იქ არ ყოფნის დროს ვიღაცას მოუშვია ტორმუზები, გამოუცლია გასაჩერებელი რკინები და ვაგონებიც გამოქცეულან.

✦ მარსელიდან ცნობაა, **პარკის ფასი** დღითი დღე მატულობსო.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა აცნობა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, რომ იგი ვერ დათანხმდება, რომ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლიდან გადმოყვანილი იქნას ჭიათურაში მასწავლებელი ა. ი. სულაძე, რადგანაც მას თითონაც არ განუცხადებია ამის სურვილიო.

# ჟურნალისტის დღიური

### 144.

### სამეურნეო ჟურნალი.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება ხალხში იმდენად საჭიროა, რომ არა გვგონია ვისმეს ეჭვი ჰქონდეს, ბლომად ჟურნალები რომ გამოიცეს. რაც უფრო მეტი იქნება სპეციალური ცოდნის გამავრცელებელი ორგანო, მით უკეთესია. მაგრამ პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სპეციალურ ორგანოების გაძღოლა ქართველებს უჭირდებათ. დღეს ქართულ ენაზე ორი სამეურნეო ჟურნალი გამოდის: „მოსავალი“ და „სასოფლო გაზეთი“. საუბედუროდ ორივე ჟურნალი ისეთს მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ ძლივს-ძლივობით აჩანჩალებენ თავიანთ არსებობას. ამ დღეებში „სასოფლო გაზეთი“-ის ერთს მახლობელ თანამშრომელთაგანს ვესაუბრე. იმან მითხრა, „სასოფლო გაზეთი“ თანდათან ვრცელდება ხალხში, ფეხს იკიდებსო. ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენს ხალხში, მართლაც, გაუღვიძია ინტერესს სასოფლო მეურნეობისადმი. მაგრამ ეს ჟურნალი ჩვენც ვერ გვაკმაყოფილებს, ვერ ვაძლევთ მკითხველ იმას, რის მიცემასაც მოვახერხებდით, ჩვენი სალიტერატურო ძალები დაქსაქსული რომ არ იყოსო.

ეს ჩივილი პირადად მე სამართლიანად მიმაჩნია. ჯერ კიდევ ვერ მივსულვართ იმ ზომამდე, რომ ორი სპეციალური ჟურნალი შევინახოთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენისთანა სასოფლო - მეურნეობის ქვეყანაში მრავალ სპეციალურ დარგის ჟურნალს უნდა ჰქონდეს გასავალი. საუბედუროდ ეს ასე არ არის. ამიტომ, როგორცა მგონია, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ერთი კარგად დაყენებული სამეურნეო ჟურნალი, რომელშიაც თავს მოიყრიდა ყველა სალიტერატურო ძალები და მეერთებულის მუშაობით მეტს მასალას მიაწოდებდა მკითხველს.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შეუძლიან თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს ეს სამეურნეო ჟურნალი და გაუწიოს თეორეტიული და პრაქტიკული ხელმძღვანელობა. ჟურნალთან ერთად შეიძლება დაარსდეს განსაკუთრებული გამომცემლობა, რომელიც მიზნად დაისახავს იაფ-ფასიან პოპულიალურ წიგნაკების გამოცემას და ხალხში გავრცელებას. სპეციალურ სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად დიდი ენერგიაა საჭირო. იგი ძალიან დიდი საქმეა და დიდ საქმეს დიდი სამუშაო ძალაცა სჭირია. ჩვენში კი ისედაც მცირე რიცხოვანი სალიტერატურო ძალები დაქსაქსულნი არიან. ჯერ-ჯერობით ერთი კარგად დაყენებული სამეურნეო ჟურნალი არსებულ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. დადგება დრო, მოთხოვნილება გაიზრდება და მაშინ სხვა სპეციალური ჟურნალებიც გაჩნდება; მაგრამ ამ ჟამად კი, ჩვენის აზრით, რამდენიმე ისეთ ჟურნალის არსებობას, რომელიც სულს ძლივსა ჰღაფავს, ერთი კარგი ჟურნალის არსებობა სჯობიან... **შინაური.**

# ინსტრუქტორი სოფლად

წარსული კვირას ვიყავი ერწოში. ჩემთან ერთად იყო მესაქონლეობის სპეციალისტი აგრონომი მარქაროვი, რომელმაც თან წამოიღო სეპარატორი, სადღვებელი და სხვა მერძეობაში სახმარებელი იარაღები. გვინდოდა ერწოში წასვლით გამოგვერკვია, თუ რის გაკეთება შეიძლება ერწოში მერძეობის მხრით; შესაძლებელია, თუ არა იქ კარაქის მკეთებელთა ამხანაგობის მოწყობა.

საჭიროდ ვსთვლი მოგახსენოთ, რომ ერწო განიყოფება ორ ნაწილად.

პირველ ნაწილს ეკუთვნიან სოფლები: საყდრიონი, თელენჯა, მელიას ხევი, სვიმონიანთ ხევი და გორანა. ესენი მისდევენ განსაკუთრებით ხვნათესვას. საქონლის მოშენებას და მერძეობას არ მისდევენ გარდა თითო-ოროლა კომლისა.

მეორე ნაწილს ერწოსას შეადგენენ შემდეგი სოფლები: ღულელები, ტოლად სოფელი, თრანი, მაგრანეთი, იკვლივი, ნაქალაქარი და სხვა პატარ-პატარა სოფლები. ამ სოფლებში მოსახლეობენ მთიდან ჩამოსულნი გუდამაყრელნი, ფშაველები და ხევსურები. ამ სოფლებში უმთავრესად მისდევენ საქონლის მოშენებას და მერძეობას. რძის დამუშავება, როგორც მოგეხსენებათ, მეტად პრიმიტიულია აქ. მონაწველს რძეს სდგამენ ორჯამიანებით და ხდიან ნაღებს, რომელსაც აგროვებენ რამდენიმე დღეს. ასე მოგროვილ ნაღებს შემდეგ სდღვებავენ. რადგანაც ნაღები მჟავდება, ამიტომ კარაქი მჟავე და მეტად მდარე ღირსებისა გამოდის, რომელიც მხოლოდ ერბოდ გადასადნობად ვარგა. კარაქს მომეტებულ წილად ადგილობრივ ჰყიდიან ჩარჩებზე, ჩარექს (2 ნახ. გირვანქა) 70—80 კ., ნაღებ მოხდილ რძისას აკეთებენ ყველს, რომელიც ადგილობრივ ჩარექი ფასობს 20—25 კაპ.

უნდა მოგახსენოთ. რომ, როცა ნაქალაქარში ხალხს დავუწყე საუბარი რძის უკეთ დამუშავებაზე და სუფთა კარაქის მომზადების შესახებ, ზოგიერთებმა მომიგეს, რომ ჩვენ, თუმცა სუფთა კარაქს არ ვამზადებთ, სამაგიეროდ ბევრი გამოდისო, რადგანაც ჩვენ მიერ დამზადებულ კარაქში ცხიმის გარდა „ჭუჭყიც“ ურევიაო. რომ ეს უსაფუძვლო მოსაზრება გამექარწყლებინა, მოვატანინე რძე და მათ თვალწინ სეპარატორის საშუალებით მოვხადე ნაღები და მტკნარი ნაღებისა შევდღვიბე კარაქი. რძე მომიტანეს სულ 2 ფუთი და 8 გირ. ამ რძიდან გამოვიდა 3½ გირ. კარაქი, ნაღებ მოხდილი რძისა კიდევ 6 გირვანქა ყველი. ნაღები განგებ შინაურ სადღვებელში შევდღვიბე, რათა დამენახვებინა, რომ კარგი კარაქის მომზადება უბრალო თიხის სადღვებელშიაც შეიძლება. სამწუხაროდ, ამ დემონსტრაციას მხოლოდ კაცები დაესწრნენ, დედაკაცები კი, რომლებიც უმთავრესად აკეთებენ კარაქს, არ მოვიდნენ. როდესაც კარაქი ამოვიღე სადღვებლიდან და ავწონეთ, დარწმუნდნენ, რომ ჩემ მიერ შედღვებილი კარაქი არამც თუ ნაკლები, პირიქით გაცილებით მეტი გამოვიდა. როდესაც კარაქი გავუნაწილეთ რძის მომტანთ, გაიძახოდნენ, რომ სახლში დღვების დროს ერთი ჯერის რძიდან (მეც თითო ჯერის რძე მომიტანეს დასამუშავებლად) გაცილებით ნაკლები გამოდის ხოლმეო, ვიდრე ეხლა აქ გვერგოვო...

ვერც რძის წარმოების გასაღებაა აქ კარგად მოწყობილი. როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, კარაქს მომეტებულ წილად ჰყიდიან თელაველ ჩარჩებზე, რომლებიც ერწოში ბუზივით ირევიან. ნაყიდი კარაქი ამ ჩარჩებს ხან თვითონ ჩამოაქვთ ქალაქში გასასყიდად, ხან უზიდავენ თიანეთში მოვაჭრე აკოფოვს, რომელიც ბლომად უყრის თავს კარაქს, ადნობს ერბოთ და გზავნის გასასყიდად სხვადასხვა მხარეს. როდესაც ეს გადმომცეს, ვურჩიე დაარსონ კარაქის მკეთებელთა და გამსაღებელთა ამხანაგობა. ჩემს წინადადებას, გარდა ხუთი ექვსი კაცისა, ეჭვით თვალით შეხედეს. ზოგმა აღნიშნა საქმის სიძნელე, ზოგმა კიდევ სხვა მიზეზი. დიდი გავლენა იქონია ხალხზე ერთ დამსწრე სომეხ მედუქნის სიტყვებმა, რომელმაც ჩვენ დაგვსახა სეპარატორის გამსაღებელ აგენტებად, —„ამათი მიზანია რძის მაშინების გასაღებაო ისევე, როგორც ზინგერის აგენტებისაო“. მიუხედავად ამისა თითო ოროლა კაცი მაინც დაინტერესდა, დაგვიწყეს დაწვრილებით გამოკითხვა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ამხანაგობა. გამოსთქვეს სურვილი, რომ წელსვე მოეწყოს ამხანაგობა იკვლივზე (იკვლივი საზოფხულო საძოვარია ერწოში, ზომით 300—400 დესეტინა), სადაც ზაფხულობით აუდით ერწოელებს საქონელი.—„შევამხანაგდეთ რამდენიმე კაცი, დავიწყოთ კარაქის კეთება იკვლივზე“, იძახდა გუდამაყრელი ალექსი აფიციაური—„და როდესაც დაინახვენ სარგებლობას, მაშინ ბრმებსაც აეხილებათ თვალებიო“. საჭირო იარაღების შეძენაზე გამოსთქვეს სურვილი ენისიათო, ვიდრე ნაწარმოებს გაჰყიდიან. ჩემის აზრით კარგი იქნება ქარ. სამეურნეო საზოგადოებამ აღმოუჩინოს მათ დახმარება საჭირო იარაღების შეძენაში, რისთვისაც სულ 60 მანეთი კმარა. საჭირო მანქანა-იარაღების სიას ამასთანავე ვადგენ. („მოს.“)

ინსტრუქტორი **ალ. კახელაძე.**

# ქართველი უშუშავრები ბაქოში

ბაქო მთელს რუსეთში ერთი უდიდესი სამრეწველო ცენტრია, სადაც მარტო ნავთის საქმეში ჩაბმულია დაახლოვებით ორმოცი ათასი მუშაკაცი, რომლის გამუდმებული მაჯის ცემა სჭედავს და ატრიალებს მრავალ ასი მილიონ მანეთის საფას ნაწარმოებს. და აი ეს გულშემზარავად მოწყობილი ბაქოც თავს აღწევს 1907—8—9 წლის საშინელ ეკონომიურ კრიზისს და 1910 წლის მიწურულიდან და განსაკუთრებით 1911 წლის მეორე ნახევრიდან მოდის მოძრაობაში განვითარების მხრით.

საერთო რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების განვითარებამ დაჰბადა და დიდად გაადიდა სათბობ ნივთიერების მოთხოვნილება, გახსნა და გაანვითარა ბაზარი მაზუთის სხვადასხვა „პროდუქტებზე“ და მით საშინელ სიმაღლეზე აიყვანა საბაზრო ღირებულება სხვადასხვა სათბობ ნივთიერებათა. ერთი ფუთი ნავთის ფასი მაგალ. 13 აგვისტოს უდრიდა 51 ნახ. კაპ.). რამდენათაც ამ გაფართოვებულ შინაურ ბაზარს ერთიანად დაპატრონებულ იყვნენ ადგილობრივი მრეწველები, რამდენათაც უცხოეთიდან ნავთისა და მის პროდუქტების შემოტანა პირდაპირ მოუხერხებელი გახდა მაღალ ბაჟების შემწეობით[1]), იმდენადვე მრეწველთა სარგებლიანობა და მრეწველობის გაფართოვების ინტერესი გაიზარდა და განვითარდა. და მართლაც, 1903 წლიდან 1910 წლამდე ბაქოს არ მოსწრებია ისეთი ცხოველი მუშაობა, ციებ-ცხელება, როგორსაც ვხედავთ 1911—12 წლიდან უკანასკნელ დრომდე. არსდება ათასნაირი ახალ-ახალი საზოგადოებანი, წარმოუდგენლად ადიდებენ მრეწველნი სამრეწველოს ძირითად თანხას, აშრობენ ზღვას და ზედ სანავთე ჭებსა სთხრიან გადიან სოფ. რომანის გარედ, სურახანაში, ბინაგადაში და აჩაღებენ მეტად ინტენსიურ მუშაობას. არ კმაყოფილდებიან ამითაც და მუშაობას ანვითარებენ ნავთის მხრით პირდაპირ საეჭვო ადგილებში, როგორიცაა მაგალ. ამირაჯანი, ბიულ-ბიული, კალა და სხვა ადგილები.

ასეთი გაცხარებული წარმოება, აღებ-მიცემობა დიდ მოთხოვნილებას ბადებს მუშათა ძალაზე, ხალხზე. 1907 წლიდან 1910 და 1911 წლის დამლევამდე მუშათა რიცხვი კიდეც მცირდებოდა ბაქოში, თუმცა მსხვილი კაპიტალის ზრდა-განვითარება ქედუხრელ პროგრესიით მიდიოდა წინ. მაგრამ 1912 წლიდან მუშათა საერთო რაოდენობაც მატულობს, თუმცა მრეწველობის მოთხოვნილებას მუშათა მიწოდება მაინც ვერ აკმაყოფილებს. ყოველ მხარეში ფეხადგმულ მრეწველობა-მეურნეობას ადგილობრივად გაუხსნია მუშათა ძა-

1) ამას ვწერ, როცა ადგილობრივ გაზეთში, „ბაქოს“ თერთმეტ აგვისტოს ნომერში ვკითხულობ: მინისტრთა საბჭომ 87 მუხლის ძალით 1913 წლის 1 იანვრამდე შესაძლებლად სცნო უცხოეთიდან ნავთის თავისუფლათ, უბაჟოდ შემოტანაო.

# ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე

XVI

### „გულდაკოდილი არწივი“.

### ვაჟას პოეზია.

როგორც აღვნიშნეთ, ვაჟას არსებაში იმდენად ძლიერია ძველი ქართველის მტკიცე და მთლიანი ბუნება, რომ მას არ შეუძლიან არსებულ ვითარებას წუთით მაინც შეურიგდეს და ლაღ-ფანტაზიის საზღვრებში შვება იპოვოს. ამის გამო მას არ ძალუძს პირველი მომენტის სიამე იმდენად იგრძნოს, რომ მეორეს უქონლობის სიმწვავე გარდაივიწყოს. მას არ შეუძლიან ოცნებისა და სინამდვილის შორის აღმართულ ყრუ კლდეს მთელის სიძლიერით არ ეკვეთოს, თუმცა იცის, რა ძვირად დაუჯდება ეს. ჩვენ დავინახეთ, რომ ძველის ქართველისათვის სიტყვა და ფიქრი თვით აქტიობა იყო, როგორც მომენტი მოქმედების წინ შობილი და ამ მოქმედებისავე წარმომშობი. ასეთი თვისება შესაძლო იყო დღემდეც დაცულიყო იმ ფშავ-ხევსურეთში, რომელშიაც არსებულმა ვითარებამ თვალსაჩინოდ ვერ შესცვალა და ვერ გარდაჰქმნა მათი სულისკვეთება და სწრაფვა. ამ მთის შვილთ ჯერ არ გაუწყვეტიათ კავშირი ბუნებასთან და უკანასკნელის თავისუფალ სტიქიის ხმაზე იშლება მათი სულის ვნებიანი და თავისუფალი ღელვა- თამაში...

ასეთმა პირობებმა გამოამუშავეს ვაჟას ბუნებაში აღნიშნული თვისებები, რომლებიც აშკარად გარდაიშალა მის მხატვრულ შემოქმედებაში. მისი სათაყვანო ძველი ხევსური რაინდია, რომელსაც „სირცხვილის ჭამას“ სახელოვანი სიკვდილი ასჯერ ურჩევნიან.

ძველი, ამაყი ბაკური 7 დღეს გმირულად იცავს მოსეულ მტერთაგან ციხეს და მერვე დღეს ტყვია-წამალიც გამოელევა, საცაა მტერი კარებს შემოჰგლეჯს და ციხეს დაეპატრონება. ამ დროს „ცეცხლად ანთებული“ ბაკური იტყვის:

„უნდა ცოლ-შვილით მტერს დავრჩეთ,
**სირცხვილი კისრით ვზიდოთა!!.**
მას მერე ტანზე აბჯარი,
როგორ-და დავიკიდოთა?
ვაჰ! დედას მტრისას!!.—ეს სთქვა,
ხელი გაივლო ხმალზედა,
„ისევ მე დაგხოცთ“—და ცოლშვილს
თავები დასჭრა წამზედა.
მტერს მიეგება ციხის კარს,
. . . . . . .
გაუხტა ხმალ-მოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო:
თორმეტი მოჰკლა ციხის კარს,
ერთ-ურთზე დააწვინაო.
ვეფხსა დააცვდა კლანჭები;
ბაკურმაც დაიძინაო“...

ასეთი იყო ამ ძველ ქართველ რაინდის სიამაყე. ასეთი იყო მისი მტკიცე ნება, რომელმაც, მოსაზრების უმალვე, მოქმედებად უქცია წადილი, რათა გმირს ლაჩრულად „სირცხვილი არ ეჭამა“. აქ უნიადაგო, უნაყოფო ოცნებას ადგილი არა აქვს. წადილი გმირობისა და სულის წყურვილი ბოლომდე სცლის შხამიან თასს, რომელიც სიცოცხლეს უსპობს, მაგრამ სულის სიმტკიცეს არ ურღვევს. იგი არ დრკება და ამ შხამიან თასს, ვით საბერძნეთის ფილოსოფოსი სოკრატი, თვისდა სასიკვდილოდ ბოლომდე სცლის. მაგრამ სოკრატს უფრო **გონების** სიფხიზლე უკარნახებდა ამ გმირობას, ხოლო ქართველ რაინდს დაუცხრომელი **გრძნობის ძალა.** არა წუთიერი და წარმავალია ეს რაინდულ სიამაყის გრძნობა; თვით ფიზიკურ უძლურების დროსაც კი, სული იგი ვერ ისვენებს და სიყვარულის რეალურად ნამხელ აქტად გარდაშლას ითხოვს. აბა, ყური დაუგდეთ ბებერს ბერდიას, რომელსაც ძალ-ღონე გამოლევია.

„უამბეს ბებერ ბერდიას
ქვეყნის არევა-დარევა,
ცეცხლის მომდები ამბები,
მთელის ქვეყნისა დარბევა.
. . . . . .
„რას უცდით, ახალ—უხლებო,
ცხენებს არ ჰკაზმავთ, რად არა?
ომ-ლაშქრობაზე მყვირალი
რად იმალება საღარა?
**გაჰმე, რომ მკლავი მოდუნდა,**
**ხმალს ვერ მოიქნევს ჭალარა.**
**გული თუმც მერჯის ტიალი.**
**მუხლები მომდევს ალარა.**
. . . . . .
მტერი ვის გაუბრუნებავ
მალულობაის ჩადენით?!“

აი, ასეთი წყურვილი მორევია მოქმედებისა მასაც, ვისაც სამოქმედოდ ძალა აღარ შესწევს.. აქ ავტორი ერთხელ კიდევ გვითითებს სიმტკიცის გრძნობის ბუნებრიობაზე და თავისი საყვარელი ტიპი გამოჰყავს. ისე, როგორადაც ყოველი ფიქრი ლამობს სიტყვად იქცეს, ამ ადამიანთა ყოველი სიტყვა სცდილობს საქმედ იქცეს და ჭეშმარიტი გმირი ყოველთვის პირველიდან მეორეზე გადადის და მათი საზღვარიც ვერ აშინებს. ვაჟას ბუნებაში სწორედ რომ ასეთ გმირის სული მომწყვდეულა და მასაც სწყურიან სიტყვა და ფიქრი საქმედ იქცეს, მაგრამ ყრუა მიდამო და უმოქმედოა ერი, რის გამო ცრემლის მძივი არ აშრება მგოსნის წამწამებს. ყოველდღიურობა, წვრილმანობა და უნაყოფო, უმოქმედო ოცნება მწარედ უკოდავს გულს ჩვენს მგოსანს. „მიყვარს საგმირო ჰანგები“,— ამბობს იგი ერთ ადგილას,—

სიტყვა და აზრი ციური
მაგრამ **გულს იქით არ მიდის**
გრძნობა და ფიქრი ღვთიური:
ფრთებს მიკვეცს აღმაფრენასა
ამბავი ყოველ-დღიური“.
. . . . .

პოეტს ძველი წყლული ისევ ჰკლავს და მისი სულის ტანჯვა დღითი-დღე ძლიერდება. ეს ტრაგედია ასე შეცნებულად და ასე ძლიერად მეორე თანამედროვე მგოსანს ვერ გამოუთქვამს; და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მისი სიმწვავე ისე ძლიერად არავის უგრძვნია ჯერ-ჯერობით, როგორც ეს იგრძნო ძველის ქართველის შვილმა ვაჟამ.

როგორც ზევით დავინახეთ, ვაჟას არსებაში მეოცნებე პოეტთან ამაყი და შეურაცხყოფილი მეომარი მომწყვდეულა, რომელიც ფანტაზიის ნაყოფით ტკბობის წუთებს უშხამავს მგოსანს და მოქმედებისაკენ იწვევს... მაგრამ აქტი იგი შეუძლებელი ხდება, რადგან ძალთა განწყობილება მას ხელს უშლის და ვაჟას ტრაგედია დიდის მასშტაბით იშლება.

ასე მწვავედ, როგორც აღვნიშნეთ, ეს წინააღმდეგობა სიტყვისა და საქმის შორის, ეს უნიადაგო ოცნება და ტირილი, გრძნობათა „ხარჯვა“,— არავის არ უგრძვნია და ამიტომ ვაჟას ტრაგედია, ვით ღრმა ფსიხოლოგიური მოვლენა, მას განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ჩვენს მწერლობაში.

მისი სული, ვით ძველის ხევსურისა, მოითხოვს უსაზღვრო, თავისუფალ ნავარდს; თვის დაკმაყოფილებას ვნების ჩაკვლაში კი არ ეძიებს იგი, არამედ ამ ვნების წყურვილით დათრობაში, მოქმედებით მის განელებაში.

მას მძიმედ აწევს კისერზე მამა-პაპათა წმინდა ვალი და საშინლად სტანჯავს ამგვარი ყოფა, რომელიც მას მარტოოდენ „სირცხვილს აჭმევს“...

აუარებელი დაბრკოლება, მოქმედების შეუძლებლობა რეალურად, თუმცა მას დროებით ცრემლებსა ჰგვრის, მაგრამ იგი ცრემლები ამ ყოფასთან შემარიგებელი, დამამშვიდებელი როდია, როგორც ეს დანარჩენ მგოსნებისათვის არის, არამედ მტანჯავი, რომელიც ვერც ართობს და არც ათბობს; რომელიც წუთიერია, უმოქმედობით გამოწვეული და მოქმედების გამომწვევი. მგოსანი იმედს მაიც არა ჰკარგავს და მას ჯერ კიდევ არ უნდა ცრემლში ჰპოვოს საუკუნო შვება და მოისვენოს მისმა დაუცხრომელმა სულმა. გამოფხიზლების დროს მას რცხვენიან კიდეც ამ ცრემლების და იგი მათ ზრუნვით მალავს და ისევ „საქმე“, მოქმედება უდგას თვალ-წინ.,. და ასე მიდის მისი ჭეშმარიტად, ტრაგიკული ცხოვრება.

„სიყმაწვილის დრო წავიდა“,—ამბობს პოეტი—

გამომერია ჭალარა;
რასაც სიყრმის დროს ველტოდი,
ვითომ მიყვარდეს აღარა?!.
გუნება გუნებათ დარჩა,
თუმცა-და მოიმთაბარა,
არ შემრჩებია, ისევ მჭირს
გულზე რაც მქირდა იარა,
შავაქდარუნებ ფანდურსა,
თუ ქინმა წამომჴარა.
**მაგრამ ეს არი სადარდო—**
**თქმა არი, საქმე კი არა“...**

ასეთი ძლიერია პოეტის ტრაგედია; მის წიაღში არ ჩამქრალა ძველი კერპის ბუნება, რომელსაც აუტანელ **სირცხვილად** და სილაჩრედ მიაჩნია უმოქმედო ოცნება და უაქტო ზრახვანი...

—

საქართველოს ტრაგიკული ბედი ხშირად ჩვენს მგოსნებს (განსაკუთრებით აკაკის) მიჯაჭვულ ამირანის ტრაგედიის სახით გარდაუშლიათ.

ვაჟა, რომელიც არსებითად, ორგანიულად განიცდის ამ ბედს, იმდენად ჰზიარებია სამშობლოს ტანჯვას, რომ თვით საკუთარი ყოფაც ამირანის შავის და საშინელის ბედით გამოუხატავს.

შეუდარებელის სიმარტივით და სიცოცხლით არის გადმოცემული სიმბოლო ავტორის წამებისა. თვისი ყოფის ობლობას ასე გადმოგვცემს იგი:

„წარსულზე ფიქრი მაწუხებს
აწმყოში არა ჰყრია-რა
და მომავალის ფიქრებიც
არავინ გამიზიარა“

ცხადია, განუზიარებელი სევდა უფრო მძიმე ლოდად აწვება მას და მოძრაობის გზას უხშობს, სულს უხუთავს.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ დანარჩენ პოეტთათვის საკმარისია ჰპოვონ შესაფერი ფორმა ამ სევდის გამოსამჟღავნებლად, რომ იგი მჟღავნება

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 969

ლისათვის ასპარეზი და ამრიგად ბაქოს ნაკლებად მოაწყდა ცოცხალი ძალის გამქირავებელნი. თქვენ წარმოიდგინეთ, სპარსეთიდანაც ძლიერ იკლო „ამშარების“-ს მოსვლამ, რუსეთიდან ხომ სრულიადაც შემცირდა და მხოლოდ ყველაზე მეტად მოაწყდა ბაქოს—პროცენტების მიხედვით—ის ქართველობა, რომლის სამშობლო მუდმივ სივიწროვეში იმყოფება.

დიდ, ქართველობის რაოდენობა ბაქოში ამ უკანასკნელ ხანაში ეკონომიურ ცხოვრების განახლებით დიდად გამრავლდა. შინა ცხოვრება კვლავ დაკნინებულ-დავრდომილი გვაქვს, ჩვენი ხსნა მხოლოდ სხვაგან თუა შესაძლებელი და აი ჩვენც ვეწაფით ხრიოკსა და სულისა და ტვინის გამლაყებელ ბაქოს. დარწმუნებით შეიძლება ვსთქვათ, რომ არც ერთ კუთხეს მთელს რუსეთის იმპერიაში ისეთი მჭიდრო ქსელი არ გაუბამს ბაქოსთან, როგორც საქართველოს. ვერ ნახავთ აქაურ ქართველს, რა რიგ ყოვლად უმნიშვნელო პიროვნება იყოს იგი, რომ იმის საშუალებით მთელი ათეული და ასეული ქართველი არ ოცნებობდეს ბაქოში მოსვლას. მომეხმარეთ, რაიმე ადგილი ამომიჩინეთ, ოღონდ ლუკმა პური ვიშოვოთ—აი რას ღირღიტობს სამშობლოდან თავადი თუ აზნაური, გლეხი თუ მოქალაქე. მრავალ მათგანს საშუალება ვერ მოუძებნია, რომ სათაყვანებელ ქალაქში ამოჰყოს თავი, მრავალი კიდევ ძიდის ალალ ბედზე და მით ასეა თუ ისე ერთვის ბაქოს ცხოვრებას.

ამ უკანასკნელ ხანში ქართველთა რიცხვი გაცილებით გაიზარდა. იგი იქნება არა ნაკლები რვა ათასი სულისა, თუ არა ათი და თერთმეტი ათასი. ძლიერ დიდი ნაწილი ამ ხალხისა აუცილებლად წარმოადგენს უმუშევართა ლაშქარს, რადგანაც საზოგადოების არც ერთი ჯგუფი არ ინახავს იმდენს უმუშევრებს, რამდენსაც ქართველობა. აქ ერთ ქართველზე აუცილებლად მოვა ერთი ან ორი უმუშევარი. ჩვენი თანამემამულენი აქ მოისწრაფიან შრომის გასაქირავებლად, წარმოებაში ჩასაბმელად, მაგრამ არც ერთი ეროვნული ჯგუფი ისე არ არჩევს სამუშავარს, როგორც ქართველი. შავს სამუშაოს ქართველი გაურბის აშკარად. უმეტესობას ინტელიგენტურ შრომის წარმოება არ ძეუძლიას, აქედან ის არც გონებისაა და არც ფიზიკურ შრომის, გაურბის როგორც პირველს ისე უკანასკნელს და ამიტომ საშუალო ქართველი კაცის ბედი ბაქოში პირდაპირ ტრაგიკულია.

მდგომარეობა კიდევ მით არის გართულებული, რომ არსად ეროვნული შუღლი და მტრობა არ დაბუდებულა თვით ვითომდა ინტერნაციონალისტ-კაპიტალისტებს შორის, ისე, როგორც ბაქოში. გამონაკლს მხოლოდ ქართველობა შეადგენს აქაც. ქართველი კაპიტალისტი სულითა და გულით საქართველოს მოძმეგ და მოკეთეა, მისი ცხოვრების სიმბოლო და ნეტარება და ბოლოს, თვალწარმტაცი კოლხეთია, კოპწია კახეთია ან ნაზი ქართლი... მაგრამ ეს პოეზიაში, პროზაში, სინამდვილეში ის პირ-წმინდა ინტერნაციონალისტია, რომელიც ფულებსაც დახარჯავს ოღონდ მოაშორეთ ქართველ მუშას, ქართველ მოსამსახურეს. ქართველი კაპიტალისტი ქართველ მუშას უყურებს არა ისე, როგორც მეორე პირს, რომლის ძალის გამოყენება მას სისრულით შეუძლია სათანადო ხელშეკრულობის შემდეგ, არამედ როგორც ნათესავს, მეგობარს, თანამემამულე ამხანაგს. რაღაც ხათრი-მათრი, მორიდება, განსაკუთრებული მორიდება და პატივი ჩასჭედია აქაურ ქართველ კაპიტალისტს ქართველ მუშებისადმი და, რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში იგი ქართველი ცდილობს თავისი სამუშაო გადასცეს სხვა უცხო პირს.

თათრობა და სომხობა კი აშკარა უტიფარ შოვინიზმს ადგია. მის არსებაში ქართველური მამა-შვილური გრძნობანი სრულიად მოსპობილია. მას მხოლოდ ერთი რამ ესმის: ჩემს საქმეში მხოლოდ ჩემიანი უნდა მივიდო, სხვა ტომის ხალხს იგი ალმაცერად უყურებს, ხშირად მტრულად. მისიანი მისთვის მუშაა, როგორც მწარმოებელი და დარაჯი—როგორც მფარველი ეროვნული შუღლის დროს. ამიტომ, სომხების ფირმებში 90—95% სომხობას უკავია, თათართან უმეტესობა თათარია. თუ ამათთან ნახავთ ქართველს, რუსს, ებრაელს და სხვებს, ეს მხოლოდ მემთხვევით, რაიმე განსაკუთრებულ გარემოების წყალობით. რადგანაც თათრების და სომხობის ძალა აქ მეტად დიდია, ცხადია, ფაქტიურად ქართველობა მათგან გარიყულია.

ბაქოს უმუშევარი ქართველობა ყოველის მხრით ცუდ მდგომარეობაშია ჩაყენებული. მას გაურბის როგორც ქართველი, ისე სომეხი, როგორც თათარი ისე რუსი თუ უცხოელი. მას გასაქანი არა აქვს, ის ძალაუნებურად ხდება საზოგადოების ზედმეტ ბარგად, პარაზიტად და რაღა უნდა გავიკვიროთ, რომ ასეთ მდგომარეობიდან დაიბადოს და წარმოიშვეს არა სასურველი მოვლენები. ცხადია, ასეთ მდგომარეობის რამდენათმე შესამსუბუქებლად თვით ჩვენ, ქართველებმა, უნდა ვიზრუნოთ, ჩვენი თანამემამულეთა უბედურება თვით ჩვენვე უნდა გავინაწილოთ. საჭიროა რაიმე ღონის მიღება თავის დროზე, წინასწარ, სამისოდ გამოყენებულ უნდა იქმნას ყველა ის შეძლებული და გავლენიანი ქართველთა ძალები, რომელნიც გულში ატარებენ სიყვარულს ქართველ ხალხისადმი, ხოლო ვერ მოუხერხებიათ მისი საქმეში გამოხატვა. აგრეთვე საქმეში უნდა ჩაერიოს ის მრავალი ქართველობა, რომელიც დღეს-დღეობით მოკალათებულა სხვა და სხვა ადგილებში. რა თქმა უნდა მე აქ უყურადღებოთ ვტოვებ საკითხის იმ მხარეს, რომელიც მდგომარეობს უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის უმუშევართა ძალების გამოყენებაში—რაიცა დღევანდელ პირობებში სათანადოდ მოუხერხებელია. დაარსება უმუშევართა ბიუროსი, კავშირის, თუ სხვა სახის ორგანიზაციის, რომელიც წინამძღოლობას გაუწევს უმუშევარ ქართველებს, აღმოუჩენს სამუშაო ალაგებს, დაეხმარება საჭიროების დროს, როგორც ნივთიერად, ისე სიტყვით, ბარათით თუ პირით—აი რა საშვალებით დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენ აქაურ უმუშაოდ დარჩენილ ქართველობას, დავიხსნით ჩვენს თანამემამულეებს, ათასგვარ დამამცირებელ და გამათახსირებელ შესაძლებლობიდან და მით ადამიანებს ადამიანებად გავხდით, საზოგადოების სასარგებლო და სამშობლოს მასულდგმულებელს.

შინა ცხოვრებაში გარიყული ხალხი, აქ მაინც გავხადოთ ღირსი ადამიანურ ცხოვრებისა. რამდენადაც ჩვენ ეგ შეგვეძლება, იმდენადვე ვეცადოთ, შევეცადოთ.

**თედ. ღლონტი.**

## წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის იუბილეი

ხუთშაბათის მორიგ კრებაზე ქართულმა სამეურნეო საბჭომ გადასწყვიტა,—მომავალ ოთხშაბათს მოიწვიოს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს წარმომადგენელნი და „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა და მათთან ერთად არჩეულ იქმნას წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის 30 წლის არსებობის იუბილეის მომწყობთ კომიტეტი. ამასთანავე დადგენილი იქმნა ახლავე დაიბეჭდოს ქართულ გაზეთებში მოწოდება და ვთხოვთ ხსენებული სკოლის ყოფილ მოსწავლეებს წარმოუდგინონ კომიტეტს თავიანთი ფოტოგრაფიული სურათები და თავიანთი ცხოვრების და მეურნეობის აღწერილობა. ამ მასალით შეივსება სკოლის ისტორია, რომლის დასტამბვა და ხალხში გავრცელება საჭიროდ აღიარა სამეურნეო საზოგადოებამ. საზოგადოების მხურვალე სურვილია რაც შეიძლება დღესასწაულის დღეს ფართო საზოგადოებას მოუყაროს თავი და დღესასწაულს ამზრდელობითი (აკადემიური) ხასიათი მისცეს.

## მუშათა ცხოვრება

**ბაქო.**

✦ მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილების გამო მუშაობა დაიწყეს შემდეგ დაწესებულებებში, მუშებმა და ხელოსნებმა: „ტრუდლოვოე დელოს“ მექანიკურ ქარხანაში, „აფბიერიგინის“ მექანიკურ და ქვის იჯარით სთხრელ ქარხნისამ, „ბეპლეს“ ასეთივე ქარხნისამ, „არმაზდის“ ამხანაგობის ქვაბის საქუდლოსამ, „ძმ. მირზოევების“ სამრეწველოში 649 მუშამ, „ეკა“-სა და „კასპიის საზოგად. სამრეწველოს 1100 მუშამ.

✦ ბიბი-ეიბათში, რუსულ ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების 80 მუშამ, მოთხოვნილების ნაწილობრივ დაკმაყოფილების გამო მუშაობა დაიწყო.

**პეტერბურგი.**

✦ ქარხანა „ნევკის“ მუშები არ მოეკიდნენ თანაგრძნობით სამკურნალო კასას. უმრავლესობა იმას ემკაირებოდა, რომ მცირე ქირას იღებენ და იქიდან რომ კიდევ რამე გადადონ აღარაფერი დარჩებათ. ქარხანაში სულ 800 კაცამდე მუშაობს.

✦ ბელოკაპიტოვის სტამბის ადმინისტრაციამ გამოუცხადა ორ მუშას, რომ დათხოვნილი ხართო და დაქირავების ხელშეკრულების მიუხედავად ნებას არ გაძლევთ ორი კვირა კიდევ იმუშავოთო. ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებამ გამოარკვია, რომ მუშები დათხოვნილია უკანასკნელად მომხდარ პოლიტიკური ხასიათის გაფიცვაში მონაწილეობისათვის. მუშები ადმინისტრაციის მოქცევას ძალიან აუღელვებია და დაუდგენიათ, ყოველი ღონისძიება იხმარონ, რომ მუშებს მიეცეთ კიდევ ორი კვირით მუშაობის უფლება სტამბაში.

✦ პეტერბურგელ ნოქართა შორის აღიძრა საკითხი, რომ განაახლონ საამქრო გაზეთის გამოცემა, რომელიც ადრინდის გამოდიოდა. გაზეთისათვის ფულს ნოქართა შორის შეაგროვებენ.

✦ საარქიტექტურო შენობათა მაშენებელ მუშათა საპროფესიო კავშირის გამგეობამ განიხილა საკითხი, ეგრედ წოდებულის, „დროებით სამუშაოსი“, რომლის შესრულებისათვისაც დაიწყეს მექანიკურ სახელოსნოებისა და ქარხნების გაფიცულმა მუშებმა დაქირავება. კავშირის გამგეობას საარქიტექტურო შენობათა მაშენებელი მუშები განსაკუთრებულ საამქროდ უცვნიათ, და სხვა საამქროთა მუშების შეცვლება შენობის საქმეში გამოიწვევს შეჯიბრებასა და ქირის შემცირებასაო. ამიტომ გამგეობას დაუდგენია არ შეუწყოს ხელი სხვა დარგის მოდუშავეთ საამშენებლო სამუშაოს პოვნაში.

**მოსკოვი.**

✦ 10 აგვისტოს გაიფიცნენ ხარკოვის (პლიუშიხის) მებელის მკეთებელ სახელოსნოს მუშები. მუშებმა ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილება წარუდგინეს სახელოსნოს პატრონს.

✦ მიურ და მერილიზის ქარხანაში გაფიცვა გრძელდება. სულ გაფიცული 200 კაცი. ადმინისტრაციამ ახალი მუშები მოიწვია, მაგრამ, როგორც კი გაიგეს მათ ქარხანაში გაფიცვა არის გამოცხადებულიო მაშინვე უარი სთქვეს მუშაობაზე. ადმინისტრაციამ პეტერბურგიდან გამოიწერა მუშები, რომელნიც მალე უნდა მოვიდნენ მოსკოვს.

✦ მუშათა კავშირმა „სოლიდარნოსტმა“ (თანაგრძნობა) მიიღო უწყება საზოგადოებათა და კავშირთა საქმეების სამმართველოსაგან, რომ 16 აგვისტოსათვის არის განსახილველად დანიშნული საკითხი კავშირის დახურვის შესახებ.

**რიგა.**

✦ „ელექტრონის საყოველთაო კომპანიის“ ქარხანაში 2.500 მუშა გაიფიცა.

**ნიკოლაევი.**

✦ გემთა სამშენებლო ქარხნებში გაფიცვა თითქმის გათავებულია, 8000 გაფიცულ მუშებისაგან მუშაობა დაიწყო ძველ პირობებში 6000 კაცმა.

## პროტესტების გამო

გაზეთ „იმერეთში“ შემდეგი წერილია დაბეჭდილი: „თანამედროვე ქვეყნის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია „პროტესტები“ ქუთაისიდან, რომელზედაც სხვებთან ერთად მოწერილია ლუკა შაქარაშვილი, უნდა ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას, რომ ეს ლუკა შაქარაშვილი მე ვარ და, თუმცა მე მომმართეს, ხელი მომეწერა იმ პროტესტზე, მაგრამ ჩემგან უარი მიიღეს. ძალიან მიკვირს, საიდან მოჰხვდა ჩემი სახელი და გვარი. მე იმ ხანებში რაჭას ვაპირებდი წასვლას და ალბად იმ იმედით მოაწერეს ჩემი სახელ-გვარი, რომ ვერ გავიგებდი. ვაცხადებ ამას საჯაროდ და ამასთანავე აღვიარებ, რომ მე ყველგან და ყოველთვის ვგმობდი იმ ვაჟბატონების საქციელს, რომელთაც თავიანთი მოძღვრების განსამტკიცებლად უარყვეს ჩვენი წარსული და მათი გავლენით ხელი შეახეს ჩვენს წმინდათა-წმინდას—ილიას.

ქუთაისი (რიონ გაღმა) მცხოვრები მედავითნე **ლუკა შაქარიშვილი.**

## სხვა და სხვა ამბავი

**კანონმდებელი მოხელე.**

როგორც რიგიდან იტყობინებიან, მათ სწვევიათ კანონმდებელი მოხელე საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის უფროსი ევანგულოვი. ევანგულოვის მისვლა მით აღნიშნულა, რომ მას წინადადება მიუცია 100 მოხელესათვის სამსახურისათვის თავი დაენებებინათ სამსახურის შეუძლებლობის გამო. შემდეგ ევანგულოვმა უბრძანა ტელეფონთა სადგურის მოხელე ქალებს რუსულად ელაპარაკნათ აბონანტებთან მიუხედავად იმისა, რომ აბონანტების უმრავლესობას გერმანელები, ესტონები და არა-რუსნი შეადგენენ და ბევრმა რუსული არ იცის. მაგრამ ყველა ეს ჩვეულებრივია. ეხლა-კი ევანგულოვს ახალი ბრძანება გამოუცია, რომლითაც მოხელეებს ეკრძალებათ, არამც თუ პოლიტიკურ წრეებში მოღვაწეობა, არამედ სხვა საზოგადოებებშიაც, გარდა საქველმოქმედო საზოგადოებისა. არავითარ შემთხვევაში მოხელეთ ნება არ ეძლევათ ირიცხებოდნენ განმანათლებელ საზოგადოებების წევრად, რადგანაც ევანგულოვის აზრით ლატიშების და ესტონელების საზოგადოებანი მისდევენ ვიწრო ეროვნულ მიზანს.

**ეპისკოპოსის გაცილება.**

სოფელ სივერსკაიში ეპისკოპოსს აცილებდნენ ღამე. ამის გამო საყდრის სამრეკლოზე ზარის რეკა ცეცხლის გაჩენის მაუწყებლად მიიღეს და სოფელში ერთი აურ-ზაური ასტყდა. ამის გამო ეხლა განუმარტავთ, რომ ეპისკოპოსის გაცილება ზარის რეკით შეიძლება მზის ჩასვლამდის, ხოლო მზის ჩასვლის შემდეგ გაცილება ზარის დაურეკავად უნდა მოხდესო.

**თანამედროვე თამაში.**

ბირზულაში, ბავშვები თამაშობდნენ „სასამართლოს“. ერთი ბავშვისათვის, „დორჩობა“ გადაუწყვეტიათ. განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ბავშვებს პატარა ქალისათვის ფეხები შეუკრავთ, მოუბავთ ყელში თოკი და არხში ჩაუკიდნიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ, ბავშვის მამას შეუმჩნევია დაკიდებული შვილი. ბავშვი ჩამოუხსნია ფეხ-მოტეხილი და ოდნავ სულის მლაფველი.

**გრაფ რონიკერის საქმე.**

გრაფ რონიკერის საქმე კიდევ განსახილველად არის დანიშნული, რადგანაც სენატმა უკან დააბრუნა ეს საქმე კიდევ დიდ ინტერესს იწვევს ხალხში.

**სამოქალაქო პანაშვიდი.**

ახლად დაარსებულმა „თავისუფალმა თეატრმა“ სამოქალაქო პანაშვიდები შემოიღო. ასეთი პანაშვიდი გადახდილი ჰქონდათ ლერმონტოვს, ჩეხოვს და ბერანჟეს. ეხლა ასეთივე პანაშვიდი გადაიხადეს ცნობილ რუს მსახიობის შჩეპკინის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის პროგრამა ასეთი იყო: ჯერ წარმოითქვა სიტყვები შჩეპკინის შესახებ, შემდეგ „საუკუნო იყოს სახსენებელი“ უმღერა გუნდმა; ამის შემდეგ გასვენებისათვის მარში ბეთჰოვენის კომპოზიციისა დაუკრეს და ბოლოს ჩაიკოვსკის კომპოზიცია სამ ხმოვანად შეასრულეს.

**შეუბრალებელი მაძებარი**

ეკატერინოსლავში, სამართალში მისცეს მაძებარი ტკაჩი ტუსაღის წვალებისათვის. ლუგანის საერთაშორისო ბანკის გამძარცველთა ძებნის დროს ტკაჩს დაუპატიმრებია ვინმე კლავდიუკი, რომელიც აწ სხვათა შორის ტკაჩი ორ დღეს არაფერს აჭმევდა ხოლმე კლავდიუკს მესამე დღეს ტკაჩი მიუგდებდა ნატეხ პურს და როდესაც დამშეული კლავდიუკი სტაცებდა პურს ხელს და ჭამა მოუნდომებდა, ტკაჩი მივარდებოდა და პურს ხელიდან გლეჯდა.

**ებრაელთა გიმნაზია.**

სახალხო განათლების სამინისტრო ძალიან დაინტერესებულია ოდესის ოლქის მზრუნველის სმოლიანინოვის მიახსენებით. სმოლიანინოვი იმ აზრისა ყოფილა, რომ ებრაელთა გიმნაზიები არ უნდა არსებობდნენ ან და თუ იარსებებენ მაშინ სახაზინო გიმნაზიებში შესვლა უნდა აუკრძალოთ ებრაელებსაო.

---

რეალურად მიიღონ და შვება ჰპოვონ. ვაჟა, ვით აქტივობის პოეტი ასეთ მელავნებას არ იკმარებს და რეალური აქტით სახვა სწყურიან ამ ნამელავნის, მაგრამ აქ საბედისწერო დაბრკოლება იმართება მის წინ და ამირანისებური ტრაგედია გარდაიშლება:

„და ჩემი ყოფა ასეთი“ — ამბობს იგი,

„ამირანისას ვადარე:
ხმალიც გვერდს უძევს, გოშიაც
ერთგულათა ჰქონის რკინასა,
**არც ხმალი მოდის გმირთანა,**
**ვერც თვითონ სწვდება იმასა**
გაღრღნილი ჯაჭვიც მთელია,
ხვდავს მეორე დილასა;
სწვავს ტანჯვა-ვაების ცეცხლი
პატრონს და იმის ბინასა:
მომავლის სხივი აქარვებს
გმირის ოხვრას და გმინვასა“

ასეთი ფატალურია პოეტის ბედიც: ამირანის ამაყი სული ვერ ურიგდება თავის მდგომარეობას. მას არ შეუძლიან სულიერი წყურვილი რეალურ აქტის სახით დაიცხროს და ტანჯვა მისი იზრდება უფრო. როგორც ვხედავთ, ავტორს შესანიშნავი სიმბოლო აუღია თავის ყოფის ტრაგედიის გამოსახატავად.

რამდენადაც ამირანს არ შეუძლიან მშვენიერის ტყუილით შვება იგრძნოს და ფანტაზიის დიად ფრენაში რეალურად განიცადოს აზროვნების და მოქმედების თავისუფლება, ისევე ვაჟასთვის, როგორც დავინახეთ, ეს შეუძლებელი გამხდარა.

რამდენადაც უფრო ჩავყვებით ქვევით, იმდენად უფრო გაღრმავებულად დავინახავთ პოეტის ტრაგედიას.

უმოქმედობით დატანჯულ ვაჟას წინ, შესაძლოა, კვლავ წამოჰყოს თავი საბედისწერო „ყოფნა-არყოფნის“ საკითხმა, მას, ვისაც სიცოცხლის აზრად მოძრაობა და წყურვილის მოკვლა მიაჩნია, თუ ვეღარ უპოვიათ გზახსნილი და სამოძრაო ასპარეზი, ყოფნას არყოფნა უნდა ერჩივნოს. მაგრამ აქ კიდევ ახალი სახის ტრაგედია იჩენს თავს, ტრაგედია, რომლის დასაბამი მამა-პაპათ ღირსეულ ზნე-ჩვეულებაში და ტრადიციებში უნდა ვეძიოთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვაჟას ბუნებაში ცოცხალია ამ მამა-პაპათა სისხლის და ხორცის თვისებანი... და აი, აქ კვლავ პოეტის წინ სდგება „სირცხვილ-ნამუსის“ საკითხი, რომელსაც ბუმბერაზული ძალა ჰქონდა ჩვენს წინაპართა სულში და რომელიც დღეს „მეტ-ბარგად“ და „დამაბრკოლებელ“ თვისებად ქცეულა ჩვენთვის.

აი, ეს „სირცხვილ-ნამუსი“,—ძველი კერპი პოეტს კითხვას უსვამს: „აქვს თუ არა მას „არ ყოფნის“ უფლება, დაიმსახურა მან ჯერ ეს თავის მოქმედებით, თუ არა?“. და აქაც მწარე და მწვავეა მგოსნის ბედი, რომლის დაუცხრომელ სულს ამ ერთად ერთ შესაძლო მოსვენების უფლებაც კი წართმევია, ის უფლება, რომლითაც ასე სარგებლობს თანამედროვე სუსტი ადამიანი, ნება გამოფიტული და სულით მჩატე-ცვალებადი; მას წართმევია ის უფლებაც, რომლითაც ასე უხვად სარგებლობენ ჩვენი მგოსნები მარტო ფიქრისა და ოცნებების გზითაც მოღლილნი და მოთენთილნი... ძველ რაინდთა თავგადასავალი მწვავე გაკვეთილს აძლევს ამ მხრით ჩვენს მგოსანს და მისი ტანჯვაც ღრმავდება.

ამ რაინდს, რომლის ბუნება ორგანიულად შეზრდია ვაჟას, არ აშინებს ნამუსი და ძალა გამოლეული იგი თამამად ეგებება სიკვდილს. და ამ უკანასკნელ წუთებში მას გარდაეშლება მისი ცხოვრების სურათი... ამ ცხოვრებიდან იგი მხოლოდ იმ სურათზე შეჩერდება, რომელიც მის რაინდულ თავგამოდებას და ვაჟკაცობას ხათელჰყოფს; სხვა ყოველივე მისთვის წვრილმახურად იქცევა ამ დიად, საიდუმლოებით მოცულ, მომენტის წინ და რა დაინახავს, რომ ვაჟკაცური ვალი ნამუსიანად მოიხადა, მშვიდად ხელდაკრეფილი ღმერთს აბარებს, მრავალგვარ რაინდობაში ნაცად, სულს...

„მანამდე „მკლავი მიჭრიდა“, იგონებს რაინდი,

ამას მეძახდა ერია:
„სადა ხარ, ან და რაზეო,
კაცო, რად არა გვშველია?“.
მე რომ მნახავდნენ ხმალ-მოწვდილს,
ჯარი გაცოცხლდის მთელია
და მიესევის მტრის ლაშქარს,
როგორც ცხვრის ლაშქარს მგელია...

. . . . .

**ხომ ავასრულე, მეწადა,**
**მე კაცობრივი ვალია.**
**მინამდე ვიყავ, ხომ ვიყავ,**
**ხომ ვატრიალე ხმალია;**

. . . . .

ღმერთო, შენ გებარებოდე,
ღმერთო, შენ შემიწყალია!“—
ეს სთქვა მოხუცმა რაინდმა,
დაიდვა თავით ხმალია,—
ხანჯარი, ფარი, ჩაჩქანი,
და ისე სული დალია!!..

ასეთი „კაცობრივი ვალი“ ვინც მოიხადა და ვინაც მხნედ „ატრიალა ხმალი“, „სანამდე მკლავი უჭრიდა“, მარტო მასა აქვს უფლება თავისი სული მოასვენოს და ღმერთს ჩააბაროს. ასეთია ბუნება ძველი „სირცხვილ-ნამუსის“ მატარებელ ქართველისა, ასეთივეა ვაჟას ბუნებაც და ამიტომ ეს გზაც, გზა საუკუნო მოსვენებისა—სანამ მკლავში ღონე აქვს და ირგვლივ სამშობლოს რბევის სურათი ეშლება—მისთვის დახშულია და შეკრული.

ტრაგედია, რომელიც უმოქმედობას წარმოუშვია, ასეთი ძლიერი და მტანჯავი არ იქნებოდა, რომ მისი მიზეზი თვითონ ავტორის არსებაში ბუდობდეს—რომ ეს უმოქმედობა პირადად ვაჟას უძლურებით და დაავადებით იყოს გამოწვეული... მაშინ იგი შეურიგდებოდა პირად სისუსტეს და ვნებიანი სულიც თანდისთან დაცხრებოდა. ასეთია ტრაგედია მთელის ჯგუფისა, გნებავთ ერისაც, როცა იგი უძლურია, სუსტი და მიმქრალი და ამის გამო, არ ძალუძს თავი ზევით აიღოს.

მაგრამ ვაჟას ტრაგედია ამ ტრაგედიას იტევს სავსებით და მის გარეშეც იშლება და სწორედ ამ **საერთოს საზღვრებ გადაღმა** ნამელავნი ტანჯვა მას მძიმე ლოდად აწვება.

ამ საზღვრებ გარდაღმა იგი ჯგუფის ფსიხოლოგიას გამოეყოფა და გამოდის, როგორც ინდივიდუალი, სუბიექტიური პიროვნება, რომელიც სუბიექტიურ ტრაგედიის ქურუმად იქცევა. მას ძალა ერჩის, მკლავი მისი ძლიერია, მაგრამ ბრძოლაში არ ნაცადი, სული მისი მწყურვალეა, მაგრამ ჯერ ნაკადს არ დაწაფებული. და მასში საშინელი ქარტეხილი ამოვარდნილა, რომელიც ბუნებაში ითხოვს ნავარდს და რომელსაც ამ ბუნებამ გზა შეუკრა. ამრიგად, თუ კი მთელი ერი იტანჯება უძლურებით, სისუსტით, რომელიც მოძრაობის ენერგიას ვერ წარმოშობს, ვაჟა, ამ საერთოს გარდა, იტანჯება საკუთარის ტანჯვით: **მეტის ენერგიით,** ზედმეტის ძალით, რომელიც მის ბუნებაში იხშობა და რომელიც ობიექტიურად ვერ მჟღავნდება. ეს ზედმეტი ენერგია, მეტ ვნებასთან და ჟინ-მოუკვლელ წყურვილებთან ერთად, ტყვიასავით მძიმედ აწვება მის გულს და სულის წუთიერ მყუდროებასაც კი აცლის.. რამდენადაც ეს **ჭარბობა** მოქმედების, აქტის ეპოქაში სანეტარო და შვების მომცემია, იმდენად საერთო მოდუნებისა და მოქმედების შეუძლებლობის, პასივობის ეპოქაში, იგი მტანჯავია; ეს ჭარბობა ატეხილ ვნებას შობს, რომელსაც, განელების გზა არსით მოეპოება; ამის გამო, მისი მატარებელი, აქტიურობის მდომი, მუდამ მღელვარი, ჩვენ შორის რაღაც ანომალიად იქცევა. მას არაჩვეულებრივ ადამიანის თვისებები აქვს და მისი სული დაუსრულებელ უკმაყოფილებას ატარებს.

ამიტომ ყველა დღევანდელ მგოსანთა აღშფოთებას და უკმაყოფილებას არაბუნებრივი, ყალბი იერი აკრავს, იგი აღშფოთება უფრო სიტყვის თამაშით არის გამოწვეული და გულის სიღრმეს იმდენად ვერ სწვდება. ვაჟა ამ მწერალთა რაზმში **ჭეშმარიტი ჭირვეულია,** მისი აღშფოთება ნამდვილი და ბუნებრივია და თქვენცა გრძნობთ, რომ აქ სიყალბეს ადგილი არა აქვს და მისივე ჭირვეულობით იმსჭვალებით; თქვენ განიცდით მის ბუნებითი ჭარბობას და მისგან წარმონადენ ტრაგედიას. აქ, აშკარად ვხედავთ იმ დიდ ზღვარს, რომელიც თანამედროვე ქართველ მგოსანთა და ვაჟასა შორის სძევს.

პირველთ სამოქმედოდ ძალა არ ჰყოფნით, მეორის არსებაში ამ ძალის დიდი სიჭარბეა, ზედმეტობა; პირველნი ამის გამო, მოქმედებას გაურბიან, მეორე მისკენ აღტყინებული მიისწრაფვის; პირველთ მოქმედების შიში იტაცებს, მეორეს მისი წყურვილი ჰკლავს; პირველნი სუსტნი და მოღლილნი არიან, მეორე ძლიერი და ჭირვეული.

აქედან პირველთა სევდა და ცრემლები მოქმედების ანალიზით და მის წინაშე ნაშობ შიშით წარმოშობილა, მეორესი კი ძლიერის, აღტაცებულის ვნებით და მოქმედების შეუძლებლობით.

ძლიერია წყურვილი მამა-პაპათა ანდერძის დაცვისა და „კისრით სირცხვილის“ არ ტარებისა, მაგრამ უფრო ძლიერია ობიექტიური დაბრკოლებანი, უფრო და უფრო მძიმდება ლოდები, რომლებიც გულზე აწყვია მწარედ გატანჯულ მგოსანს.

ასეთი აუტანელია ავტორის ყოფნა, მაგრამ აქ საკვირველი და საარაკო ის არის, რომ ამდენმა ლოდებმა, რომლებიც მძიმედ აწევს მის გულს, ვერ იქმნა, ვერ მოსტეხა მისი ბუნება და ვერ ჩაუკლა წყურვილი წამოდგომისა, ამდენმა დაბრკოლებამ ვერ მოდრიკა იგი და ვერ შეარიგა იმ აზრთან, რომ შეუძლებელი ხდება ძველ ანდერძის წმინდად შენახვა და სირცხვილ-ნამუსის ამრიგად დაცვა. იგი ვერ შეჰრიგებია იმას, რასაც კარგა ხანია შეურიგდა და შეეჩვია მთელი ერი და მას მარტო უხდება ამ სირცხვილ-ნამუსის შეგნება და მისი ტარება. ასე საშინლად იტანჯება იგი, მაგრამ მაინც არადრკება და მხნეობს:

„მომავლის სხივი აქარვებს
გმირის ოხვრას და გმინვასა“.

**აკაკი პაპავა.**

(შემდეგი იქნება)

# რუსეთი

**ეპისკოპოსები რუსეთში.**

სატახტო ქალაქის ერთს გაზეთს გამოუკვლევია, თუ რამდენი ეპისკოპოსია რუსეთში. ახლად კურთხეულ ეპისკოპოს მოდესტით სულ ყოფილა 170 ეპისკოპოსი, მათ შორის: 3 მიტროპოლიტი, 27 არქიეპისკოპოსი, 140 ეპისკოპოსი; უკანასკნელთა შორის ქორეპისკოპოსებად 77 არიან; ეპარქიებს ჰმართვენ და საზღვარგარედ იმყოფება 70 ეპისკოპოსი; დასასვენებლად გადაყენებული არის 23 ეპისკოპოსი. პენსია არ ეძლევა მხოლოდ ერთ ეპისკოპოსს **კირიონს.** ეპისკოპოსი კირიონი ამჟამად ხერსონის თავად ვლადიმირის მონასტერში, სევასტოპოლის მახლობლად იმყოფება. გაცილებით უკეთესი პირობები აქვს სარატოვის ეპისკოპოსად ნამყოფს ჰერმოგენს (დოლგანოვს); თუმცა იგი უფრო ახალგაზრდაა ვიდრე კირიონი და იმსახურა მხოლოდ 19 წელიწადი, მაგრამ პენსიად ეძლევა ათას-ხუთასი მანეთი წელიწადში და გროდნოს გუბერნიის მონასტერში სცხოვრობს.

**სტუდენტების ბედ-იღბალი.**

1910 წ. არეულობისათვის გადასახლებულ სტუდენტებს გადაიყვანენ სარატოვის, ყაზანის და დორპატის უნივერსიტეტებში.

**მრეწველნი და მინისტრთა საბჭო.**

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებამ, რომ მუშათა გაფიცვებში მთავრობა ჩაერიოს, ვერ გამოიწვია მრეწველთა თანაგრძნობა. საჭიროდ მიაჩნიათ მრეწველებს, რომ საკითხი ყოველ მხრივ განხილული იქნეს და გამოარკვიონ, რამდენად მოსახერხებელი იქნება მთავრობის ჩარევა მუშათა და მრეწველთა ურთი-ერთ დამოკიდებულებაში. მრეწველთა აზრით სისხლის სამართლის იმ მუხლების განუმარტებლობის გამო, რომელნიც მთავრობას უნდა შეუფარდოს გაფიცულთა მოქმედებას, შესაძლოა საქმის გართულება. წინადადება, რომ გაფიცვები უნდა განიყოფებოდეს ორად: გაფიცვა, რომელიც ჩაქრობას საჭიროობს და გაფიცვა, რომლის ჩასაქრობად დახმარებაა საჭირო მრეწველებმა უხერხულად სცნეს, რადგანაც ასეთი განმარტება გამოიწვევს იმას, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია მუდამ ჩაერევა მუშათა და მრეწველთა ურთიერთ დამოკიდებულებაში.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**14 და 15 აგვისტო.**

**უცხოეთი.**

**პარიზი.** „ტანი“ იტყობინება, რომ მალე გათავდება მოლაპარაკება ფრანგ და გერმანელ ფინანსიურ წრეებისა, შესახებ ბაღდადის რკინის გზისა. მოლაპარაკება რუსეთის და ინგლისის თანხმობით ხდება. ინგლისი მოკლე დროში ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, რომ იგი დაინტერესებული არ არის ამ რკინის გზით ბაღდადამდის. გერმანელი ბანკი შეისყიდის ოთომანის ბანკიდან ყველა ქაღალდებს, რომელიც მას აქვს შეძენილი. გერმანელები უარს იტყვიან შავი-ზღვის ნაპირას და სირიაში რკინის გზის გაყვანისას. გერმანია მიიღებს უფლებას თავის ნებითად იმოქმედოს ბაღდადში, საფრანგეთი თავს იხსნის გერმანიის შეჯიბრებისაგან.

**შანხაი.** გუშინდელი ცნობა ნანკინის ალების შესახებ მართალი არ გამოდგა. ჯერ კიდევ შეტაკება გრძელდება. მეამბოხენი ჯერ-ჯერობით იმარჯვებენ და მთავრობის მცირე ჯარი მოიგერიეს. ჯან სიუნი იმედოვნებს, რომ ნანკინი მალე დაჰმორჩილდება, რადგანაც მეამბოხეთ სურსათი არ ეყოფად და მთავრობის ჯარს თანდათან ძალა ემატება.

**სტამბოლი.** ოთომანის სააგენტო იტყობინება, რომ გიუმიულჯინის და მისი მიდამოების მაჰმადიანი და არა მაჰმადიანი მცხოვრებლები უარს ამბობენ ბულგარეთის ქვეშევრდომობისას და ცოლ-შვილს სხვა ქალაქებში გზავნიან; თითონ კი იარაღდებიან, რომ ბულგარელებს წინააღმდეგობა გაუწიონ.

**ჰააგა.** „ზავის სასახლის“ გახსნის გამო ნიდერლანდის მეფის მეუღლემ ცნობილ ამერიკელ ქველმოქმედს კარნეჯის უბოძა ორან-ნასაუს პირველი ხარისხის ორდენი.

**ვაშინგტონი.** ლაპარაკობენ, რომ ლინდი არ იქნება გამოწვეული. ლინდის წინადადება შეიცავს შემდეგს: შერიგება, მოკლე დროში თავისუფალ არჩევნების დანიშვნა, რუერტის ვალდებულობა, რომ იგი არ იყრის კენჭს პრეზიდენტობისათვის, არჩევნების შედეგს აუცილებლად მიიღებს.

**თეირანი.** მოვიდა სპარსეთის რეგენტი ნასრ-ულ-მულკი.

**სტამბოლი.** მთავრობამ იზმიდის მხარეში საალყო წესები შემოიღო.

**ლიუბლიანა.** დაიხურა ხორვატ-სლოვიანების კათოლიკეთა კრება.

**სოფია.** ვარნის პრეფექტის უცხო სახელმწიფოთა ელჩებისადმი შეკითხვაზე, შესახებ იმ საჩივრებისა, რომელნიც ბერძნებმა და ოსმალებმა განაცხადეს ბულგარების სიმკაცრის გამო, ელჩებმა უპასუხეს: ჩვენთვის არავის არ მოუმართნია საჩივრითაო.

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრი თალაათ-ბეი ადრიანოპოლიდანა და კირკილისედან დაბრუნდა.

**ლონდონი.** სუფრაჟის ქალებმა დასწვეს ლონდონის მიდამოებში დიდი სახლი.

**პარიზი.** ამხანაგებთან უთანხმოებისს გამო ბლერიო გამოვიდა ჰაეროკლუბის საბჭოდან, ხოლო წევრად დარჩა.

**ლონდონი.** გაიფიცნენ მაშენებელი მუშები, მღებავები და მონტიორები. მთავრობის ზოგიერთ დაწესებულებაში ცეცხლის გამძლეებლებმა უაური სთქვეს მუშაობისა. შადრევანები აღარ მოქმედებენ. სენჯემსის პარკში და ტრაფალ-გორ-სკვერს წყალს აღარ აწვდიან.

**ბუქარესტი.** ბულგარეთის წარმომადგენელ რადაევთან დამტკიცებული ხელშეკრულება გასცვალეს.

**ბარცელონა.** 130 ბამბის სამრეწველო ქარხნებში დაიწყო მუშაობა 9331 მუშამ. კიდევ დახურულია 148 ქარხანა.

**ოვიედო.** სამთო-სამრეწველოებში მომუშავენი ასტურიაში აპირებენ სექტემბრისათვის საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იტყობინება, რომ ზოგიერთი გაზეთის ცნობა, ვითომც ჯარის შინ დაბრუნების დროს მომხდარიყოს შეტაკება. სიმართლეს მოკლებულია. შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობით რუმინიის ჯარებმა თითქმის სულ დასტოვეს ბულგარეთის მიწა-წყალი—ჰფიქრობენ, რომ 14 აგვისტოსათვის ბულგარეთში არ დარჩება არც ერთი რუმინელი ჯარის-კაცი. ბერძნებმა, რომელნიც ბულგარეთში იყვნენ მოყვანილნი შეტაკების გამოცხადებისას, განთავისუფლებულებმა ეხლა, დეპეშა გაუგზავნეს პრემიერ მინისტრს და მადლობა გადაუხადეს სტუმართ-მოყვარეობისათვის.

**მადრიდი.** ჩრდილო ესპანიაში დაიწყო რკინის გზის მომუშავეთა გაფიცვა, რომელიც მუშათა და ინჟინრის შორის მომხდარმა ლაპარაკმა გამოიწვია.

**ბარცელონა.** კატალონიის ქალაქებში გაფიცვა გრძელდება. ბადალონაში გაფიცულებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მუშაობის მსურველთ. ჟანდარმებმა ორი დასჭრეს. მატაროში 4 კაცია ჟანდარმებისაგან დაჭრილი.

**ვენა.** გაზეთები აღნიშნავენ, რომ რუსის ელჩის ვენიდან გაწვევა და პეტერბურგიდან ავსტრიის ელჩის გაწვევა და აგრედვე ლეიპციგში ძეგლ-ტაძარის კურთხევაზე მიწვევა, რუსის ელჩისათვის გირსისათვის ჯილდოს ბოძება ცხადი დამამტკიცებელია რუსეთ-ავსტრიის დამოკიდებულობის გაუმჯობესებისა.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა ვილსონმა წინადადება მისცა შეერთებულ შტატების მოქალაქეთ დაუყოვნებლივ დასტოვონ მექსიკა. საელჩოებს დაევალა აცნობონ სამოქალაქო და სამხედრო მთავრობას, რომ პასუხისმგებელნი იქნებიან შეერთებულ შტატების მოქალაქეთა სიცოცხლის ქონების დაცვის საქმეში.

**შანხაი.** ნანკინთან ომი გრძელდება. ჯანსიუნი იერიშით მიდის ქალაქზე. ამბობენ, რომ ჩრდილოეთის ჯარი სცდილობს ნაღმები შედონ ქალაქის სიმაგრეების ქვეშ და ამ რიგად შევიდნენ ქალაქში.

**ვაშინგტონი.** რადგანაც ლინდისაგან ოპტიმისტური მოხსენება მოვიდა, ვილსონმა შეუთვალა ლინდს, დაბრუნდეს მექსიკაში.

**ნიუ-იორკი.** ხაბოკენის მახლობლად უდიდეს გემზე „იმპერატორზე“ ცეცხლი გაჩნდა, ცეცხლი მალე ჩააქრეს. კვამლმა გაგუდა მხედარი და ჯარის კაცი.

**დუირანი.** სამხრეთიდან ამაღელვებელი ხმები მოდის, ბახტიარები ამხედრდნენო. ბახტიარები შურს იძიებენ ჟანდარმებისაგან. 2,000 ბახტიარი მზად არის თეირანზე იერიში მიიტანონ.

**პეკინი** დაიჭირეს ნაციონალისტი დეპუტატებე, 5 ზედა 3 ქვედა პალატის-წევრები. პარლამენტმა ამის გამო მთავრობას განმარტება მოსთხოვა.

**პოზნანი.** 14 აგვისტოს სალამოთი, პოლონელთა სასტუმროს მახლობლად პოლონელთა ბრბო სტვენით და გინებით შეხვდნენ პოლონელ მაგნატებს (თავად აზნაურთ), რომელნიც სასახლიდან სადილის შემდეგ ბრუნდებოდნენ. ბრბო პოლიციამ გაჰფანტა.

**ათენა** ფრაკიიდან გამოქცეულნი იუწყებიან, რომ ოსმალები კირკილისეში და მთელ ფრაკიაში ისეთ სიმკაცრეს ჩადიან, რომ ქრისტიანთა ცხოვრება აუტანელი ხდებაო.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** ღამით, ინჟინერმა ვალენტოვიჩმა, ნოვოჩერკასკის პოლკის სადგომის ახლოს გაიარა და სამხედრო დარაჯს რევოლვერი ესროლა. დარაჯი ფეხში დაიჭრა. ვალენტოვიჩი დაიჭირეს. მან განაცხადა, რომ რევოლვერი სიმთვრალით ვისროლეო.

**სევასტოპოლი.** ხელმწიფე იმპერატორმა 10,000 მან, შესწირა სევასტოპოლის გაჭირვებულთ.

**ეკატერინოდარი.** ნიაღვარმა და კვერცხისოდენა სეტყვამ ქუჩები აავსო, გააფუჭა ბაღები, ბოსტნები და საერთოდ ნათესი.

**ჰელსინგფორსი.** ბურნებორგში დაიჭირეს და პეტერბურგს გაჰგზავნეს სასჯელის მოსახდენად რატჰაუზის სასამართლოს წევრი ტასტგუსტში—სელინი, რომელსაც პეტერბურგის სასამართლომ ციხე მიუსაჯა უფლების თანასწორობის წინააღმდეგობისათვის.

**ლიბავა.** ცნობა მოვიდა, ვითომც ვინდოვის მახლობლად უჭკოვნიათ გვამი ინჟინერ-მექანიკოსის მეზნოვისა, რომელიც წყალ-ქვეშ მცურავ ნავზე „პესკარზე“ დაიღუპა.

**პროსკუროვი:** ცნობა ვითომც მოიჯარადრე სკოჩინსკის წაეღოს 150 ათასი მანეთი და საზღვარ-გარედ გაპარულიყოს, ტყუილი გამოდგა. სკოჩინსკი აქ არის და ვალსაც იხდის.

**ნოვოჩერკასკი.** გრიგალისაგან მ[...] ყენებული ზარალი მთელს ოლქ[...] 6 მილიონს უდრის.

**პეტერბურგი.** გაზ. „პრავდის“ ყ[...] ფილი რედაქტორი ბადაევი სამა[...] თალში არის მიცემული 1034 მ[...] ძალით.

**რომანოვსკაია** (ყუბ) კონოკოვ[...] სა და ოვეჩკას შორის დეჯახნ[...] ერთ მატარებლიდან მოწყვეტილ[...] ვაგონები მეორე მატარებლს. მოკვ[...] 2 კონდუქტორი და ერთი უცნობ[...]

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „მუშა[...] ახალი გაზეთის“ № 7, რომელში[...] მოთავსებულია სტატია „ოინი ჩვენ[...] დროისა ანუ რეაქციონური ქკუ[...] შერყევა“. დაპერილია აგრეთვე „ს[...] ვერნაია პრავდას“ № 12 „გენიალ[...] რი პროლეტარი“-ს დაბეჭვდისათვი[...]

# წერილი რედ. მიმარ[...]

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვე[...] ნი პატივცემული გაზეთის ფურცელ[...] ზე ადგილი დაუთმოთ ამ ანგარიშ[...] 20 წარსულ ივლისს ს. გურჯაან[...] ადგილობრივ ბიბლიოთეკის სასა[...] გებლოდ გაიმართა წარმოდგენ[...] შემოვიდა ბილეთებიდან და შემო[...] წირულებით ფულად—249 მან. 15 [...] ბუფეტიდან, ვახშმიდან და სათამ[...] შოებიდან 148 მ. 53 კ. მთელი შემო[...] სავალი უდრიდა 397 მ. 68 კ., ა[...] დან დაიხარჯა 307 მ. 4 კ., დარ[...] წმინდა შემოსავალი ფულად 90 [...] 64 კ., ამასთან დეკორაციევბი, დირ[...] ბული 40 მ. მადლობას ვსწირავ[...] კნ. ქეთევან ჩოლაყაშვილისას სა[...] ლისა და ეზოს დათმობისითვის, ად[...] გილობრივ სცენის მოყვარეებს; ბ[...] დ. აწყურელს შვილითურთ მონა[...] წილეობისათვის; ბ-ნთ ი. აბაშიძეს[...] ა. შანშიაშვილს და ს. ფაშალიშვილ[...] დივერტისმენტში მონაწილეობ[...] მიღებისათვის; თ-დ ი. ს. აბაშიძე[...] რომელიც ყოველნაირად დაგვეხმა[...] რა, ბ-ნთ ნ. იაშვილს და ა. არაბ[...] ვიხს, რომელთაც აგრედვე დიდ[...] შრომა გასწიეს.

გამგენი: ექ. დ. ჯაბახიშვილი, გ. ხარ[...] ჯიშვილი.

P. S. ვთხოვთ გაზეთ „ხმა კახეთი[...] სას“ გადაბეჭდოს ეს ანგარიში.

დ. ჯ. გ. ს.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.


# მატარებელთა მიმოსვლა (ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **წარევა** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 31 წ., № 107, **წარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადისაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისაკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისაკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად, 4 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **წარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **წარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

# ფეხსაცმელები თომა დ. ჯანუარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში,**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი:

**საკუთარი ძ პეტერბ.**



მეხანიკური ნაწარმოები. 527

# ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სალამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

# ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

# სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ქ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 პ. **ფომინა-თხილიშვილისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შეთილებაში და სხდაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არდევვენცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 64, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

— გამოსულია და იყიდება —

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით

**სამკურნალო**

**ხრესილი აბანო ხრესილი**

მცირფასი მთის ჭაერზე

**ძმ. ყორყოლაძეების**

**აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას**

1385

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.

ВЪ ЛОНДОНѢ.

**მიიღებულია**

**ახალი ფირფიტები**

ცნობილ მომღერალთა სიმღერებით, როგორც მაგალითად:

ბაგრატისა, გვთორე შულავერელისა, ისლამ აბდულაევისა, მეჯიდასი, ჰამიტ-ყურბანოვისა და სხ.

ახლად აგვისხ! **მგოსანი აკაკი გრამოფონში** ახლად აგვისხ!

ყველა ჩვენ ფირფიტას აქვს ყველგან ცნობილი ნიშანი: **„მწერავი ამური“.**

ფირფიტები ხია უფასოდ.

ОТДѢЛЕНІЕ ДЛЯ КАВКАЗА И ЗАКАСПІЙСКАГО КРАЯ

**ТИФЛИСЪ,**

Головинскій пр., 9,

ПРОТИВЪ ВОЕННАГО СОБОРА.

1432

გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის** პიესა

**„ვ ა მ ც ე მ ი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

# თ. ა. მოავრიშვილის წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სა[სწავლო] წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

**სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,**

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბა[...] ლსა და საშუალო სასწავლებლებში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.** მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: რვეუ[...] ლები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, სამხატვრო დავთრები და სხ[...] რისაც ძლიერ დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ გოკიელის საკანცელარი[...] მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მოავრიშვილი.** 1573

# მუდამ დღე მოგვდის

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

**ხიზილალა** ქიტკა

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მ[...] **ლაზიაში მარტის დოში, იანი, ძ[...]პა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნა[...]რი **თევზეული** და **კონსერვები.**

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 7[illegible].**

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის

# „პატოკსან“.

**„პატოკსან“** შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.

**„პატოკსან“** საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრე[წ]ველთა კონგრესზე.

**„პატოკსან“** ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიკოცხლის უნარის შემატებას.

**„პატოკსან“** ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუმჯობესოს და ღლიური ნაწველიც გაადიდოს.

**„პატოკსან“** ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქე[...]ში და სხვა საჭმელში.

**„პატოკსან“** თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.

ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფა[სი] ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლე[ბის] აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რ[...]სინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—[...] და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384


მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.